

# საგაზეთო

საქართველოს  
საგაზეთო

საორთული გაზეთი

შაბათი 16 იანვარი 1999 №5 (778)


ფასი 50 თეთრი

## 2 ნუ გეზიანიათ!

პირველჯგუფელებს  
„ალდაგი“ დააზღვევს

## 5 როგორც იქნა!

დე ბურები  
კატალონიაში წავიდნენ



## 5 ნვანკვო ლონდონელი



ნვანკვო  
კანუ  
„არსენალში“  
გადავიდა

## 8 სტუფანია ამერიკაში:

რას იტყვის  
„სუპერსონიქსი?“


## 9 ჩოგბურთის მზე ავსტრალიიდან ამოდის



ვინ აყვებდა  
უსამპრასო  
მელბურნში?

## 11 რკინის მაიკი და „პანამა“ ლუისის რკინის ხელთათმანები

ამაღამ ტაისონი  
რინგს უბრუნდება



გადრი კითხვების ფოტო

ესპანეთის  
პოლიცია  
ბიორგი  
ნემსაქმ  
ატლეთიკოლან  
ბრონდგიუმი  
გაუშვა

მადრიდის ატლეთიკოს თავმჯარისანი პრეზიდენტის  
ხეხუს ხილი ხილის დაპატიმრებას საქართველოს  
ნაპრების კაპიტანს ბიორგი ნემსაქმს არიბო საპის  
გუნდში თამაშის შანსი წაართვა

იხილეთ მეორე გვერდი

# სანამ უეფა ფიფადან გაბრძნა

კოლეგებთან ხუთსაათიანი თათბირის შემდეგ ფიფას წვერი კონფედერაციების გენერალურ მდივანთაგან ფიფას პრეზიდენტის, იოზეფ ბლატერის ახალი იდეისადმი ყველაზე ოპოზიციურად განწყობილმა, გერმარდ აიგნერმა შენევაში შეკრებილ ფურნალისტებს განუცხადა:

„მსოფლიოს ჩემპიონატის ორ წელიწადში ერთხელ ჩატარებაზე სიტყვაც არ თქმულა. ახალს ვერაფერს ვიტყვი გარდა იმისა, რომ ჩვენ, უეფამ წარვადგინეთ მსოფლიოს ყველა საერთაშორისო შეჯიბრების შეთანხმებული კალენდრის გეგმა, რომელშიც ამხანაგური შეხვედრებიც კი გვქონდა გათვალისწინებული. გეგმა 2005 წლამდე იყო შედგენილი. თათბირზე გამოჩნდა, რომ დანარჩენი კონტინენტების წარმომადგენლები ცდილობენ თავიანთი კალენდრები ყველაზე მონესრიგებულთან, ევროპულთან შეაჯერონ.“

ფიფაში უეფას წინადადება მოიწონეს, მაგრამ დასძინეს, რომ მათი ჩაფიქრებული მსოფლიოს საკლუბო ჩემპიონატი 2000 წლის იანვარში ან ივლისში (ევროპის ჩემპიონატის დამთავრებიდან ერთ თვეში) მაინც ჩატარდება. რაც შეეხება ნაკრებთა პირველობის ორ წელიწადში ერთხელ გამართვას, ეს იდეა კონკაჟის, აზიისა და აფრიკის წარმომადგენლებს მოსწონთ, სამხრეთ ამერიკელებს არა, მაგრამ ევროპელებისათვის რადიკალურად არ იქცევიან.

„უეფა გვიპირისპირდება, მაგრამ გაუგებრობას უნდა ვძლიოთ. ბატონი აიგნერი დღეს კონსტრუქციულად საუბრობდა, თუმცა არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ ევროპაში მხოლოდ ის არ არის, იქ 52 ფედერაციაა“ — თქვა კმაყოფილმა ბლატერმა მცირე ბანკეტის შემდეგ.

თათბირამდე აიგნერი აცხადებდა, თუ ფიფა თავისას არ გადათქვამს, უეფა მისი დაქვემდებარებიდან გამოვა.



გერმარდ აიგნერი

REUTERS შემოღობ







# ფეხბურთის ინფლაცია

პროკაპლი ფეხბურთელების ენთაუზური შერევის შემთხვევაში მომავალში კონტროლს უნდა დაექვემდებაროს —



თქვენ კანში, ფეხბურთის ექსპერტები გაეკვირვებოდნენ ადამიანებმა.

ფიფას გენერალური მდივნის მიქელ ზენ-რუფინენის თქმით, არსებობს იმის საშიშროება, რომ ჩემპიონთა ლიგაში გასვლას დახარბებული ზოგი არცთუ უსახელო კლუბი ფეხბურთელების ყიდვისა და უმჯობესი ხელფასების გადახდამ გააკონტროლოს.

ზენ-რუფინენს მხარი საფრანგეთის ლიგის გენერალურმა მენეჯერმა მიშელ ტებულმაც დაუჭირა. იმავე აზრისა აღმოჩნდა ინგლისის პრემიერ-ლიგის აღმასრულებელი შუი პიტერ ლივერი. აღსანიშნავია, რომ ამ პიროვნებათა მოსაზრებამ დარბაზში მსხდომი ათასამდე დელეგატის ერთსულოვანი ოცნება გამოიწვია.

შემოსავლის კონტროლის იდეა არც უფასო საკლუბო შეჯიბრებათა თავაკისთვის, ტომას ჟურსისთვის ყოფილა უცხო, მაგრამ მან ხაზი გაუსვა, რომ მიუღწევი კონტინენტზე ერთნაირი წესების შემოღება ერთობ რთული საქმეა, რადგან ეკონომიკური მდგომარეობა, ვითვით შევადარებთ და საბერძნეთში ძალიან განსხვავდება ერთმანეთისგან.

ტებულმა ბრძანა: „ნებისმიერი დამკვირვებელი შეინიშნავს, რომ ჩვენს ბიზნესში ვითარება კონტროლს აღარ ექვემდებარება. ბოსნიის წესის შემოღების მერე საფეხბურთო ევროპის ფინანსური მდგომარეობა ყარაზე ღვას“.

თურმე კლუბები მეტი და მეტი ხელფასის გადახდისთვის ბრძოლაში ყოველწლიურად 30 პროცენტით ზრდიან ფეხბურთელთა საშუალო შემოსავალს. „საქმემ არანორმალური მიმართულება მიიღო“ — დაამატა მან — „დამისახელეთ თუნდაც ერთი სფერო, რომელიც ყოველწლიურად 30 პროცენტით ინფლაციას გაუძლებს“.

შემდეგ ტებულმა განმარტა, თუ რა მექანიზმები აცოცხლებენ ფეხბურთს ჯერ კიდევ:

„საქმე ის გახლავთ, რომ ბოლო ათ წელიწადში ტელეკომპანიებისგან ფულის ნიაღვარი წამოვიდა, მაგრამ ჩემი გამოთვლით, ამ ნიაღვარსაც აქვს თავისი ლიმიტი და ვგონებ, იგი ამოწურვის პირასაა“.

მან აგრეთვე ეჭვქვეშ დააყენა იმ ფეხბურთელების ჰუმანიტარული ღირებულება, რომლებიც ვეება ხელფასებს იღებენ.

ლივერმა აღნიშნა, რომ ხსენებულ პრობლემას ინგლისში ძალიან ხშირად განიხილავენ.

„ჩვენ გაერთიანებული პოლიტიკის შესაძლებლობა უნდა ვიბრძოდოდ და უნდა მივაგებოთ ისეთ გადაწყვეტილებას, რომელიც რომის ხელშეკრულებას არ დაუპირისპირდება“ — თქვა მან, ოღონდ დაამატა, რომ მიუღწევი თავისტკივილი ბრიტანეთის კუნძულზე კი არა, კონტინენტზე იღებს სათავეს.

კურტმა, როგორც მოგახსენეთ, ისაუბრა იმ სირთულეებზე, რომელიც შესაძლოა, წინ აღუდგეს კალაპოტიდან გამოსული საკითხის წინააღმდეგ ბრძოლას, მაგრამ ბოლოს სიტყვა ისევ ზენ-რუფინენმა ითხოვა.

ნიგერიელი ვარსკვლავი ნვანკო კანუ გუშინ ლონდონის „არსენალის“ წერი გახდა. ოფიციალურად არ გახლავთ ცნობილი, მაგრამ ამბობენ, რომ მის გადასაცემად ინგლისელებმა მილანის „ინტერს“ 4,5 მილიონი გირვანჯა გადაუხადეს. ბუნებრივია, კონტრაქტზე ხელის მოწერამდე ნიგერიელს ლონდონელმა მედიკოსებმა საფუძვლიანი გამოკვლევა ჩაუტარეს, რადგან ფეხბურთელს რამდენიმე წლის წინ გულის ოპერაცია აქვს გადატანილი, ბოლო დროს კი მუხლის ტრავმა აწუხებდა.

„არსენალის“ ფრანგი მწვრთნელი არსენ ვენგერი, მიუხედავად იმისა, რომ გუნდში ჰოლანდიელი დენის ბერხამპი და ფრანგი ნიკოლა ანელკა ჰყავს, დარწმუნებულია, რომ სწორედ ის ფეხბურთელი შეიძინა, ვინც მასაც გამოადგება და თავისთვისაც დიდ სახელს დაიგდებს. სხვათა შორის, ვენგერს კანუს თხოვება უნდოდა, მაგრამ „ინტერმა“ დაიჩემა, თუ მიგყავს და ფულსაც იხდი, ბარემ იყიდო.

„კანუს შეუძლია ჩვენი გუნდის ცენტრალური თავდამსხმელიც გახდეს და დამხმარე ფორვარდაც ითამაშოს. ამას დარწმუნებით მოგახსენებთ, რადგან მას თავისი ოსტატობა უმაღლეს საკლუბო და სანაკრებო დონეზე აქვს დამტკიცებული. „ინტერში“ კანუ ძირითად შემადგენლობაში იშვიათად ხვდებოდა, რადგან კონკურენტებად რობერტო ბაჯო, იური ჯორკაევი და თვით რონალდო ჰყავდნენ“ — განაცხადა ვენგერმა.

## ნვანკო ლონდონელი



კანუს შეჩერება ძნელი საქმეა



ნვანკო კანუ

დაიბადა 1976 წლის 1 აგვისტოს ოფერში (ნიგერია)  
1991: იწყებს თამაშს ნიგერიის პირველი დივიზიონის გუნდ „ფედ უორემში“  
1992: გადადის „აგუინიანგუ ოფერიში“ და 1993 წელს ქვეყნის ჩემპიონი ხდება  
1993: იაბონიანში 17 წლამდელთა მსოფლიოს ჩემპიონატზე სახელს ითქვამს და გადადის ამსტერდამის „აიაქსში“  
1994: ხდება ჰოლანდიის ჩემპიონი, 6 შეხვედრაში 2 გოლი გააქვს  
1995: ხდება ევროპის ჩემპიონთა თასის მფლობელი  
1996: გადადის „ინტერში“, სადაც ექვსი გულის მძიმე სნეულებას აღმოუჩენენ  
1997: აშშ-ში იგეგმება ოპერაცია  
1998: „ინტერის“ შემადგენლობაში 11 შეხვედრაში 1 გოლი გააქვს  
1998: ნაერვის შემადგენლობაში გამოდის მსოფლიოს ჩემპიონატზე

# როგორც იქნა! დე ბურები კატალონიის ვაჟიღნენ

რონალდ და ფრენკ დე ბურები ამიერიდან „ბარსელონას“ წევრები არიან. გუშინ ამსტერდამის „აიაქსმა“ ტყუპების სანაცვლოდ კატალონიური კლუბისგან 22 მილიონი დოლარი მიიღო. ამჟამად „აიაქსთან“ ერთად სამხრეთაფრიკულ ტურნეზე მყოფი დე ბურები უკვე „ბარსელონას“ საკუთრებად ითვლებიან.

ყველაფერი გასულ სეზონში დაიწყო. ფრენკმა და რონალდმა განაცხადეს, მიუხედავად „აიაქსთან“ 2004 წლამდე გაფორმებული კონტრაქტისა, ამსტერდამში დარჩენა აღარ გვსურსო.


შარშან, მსოფლიოს პირველობის დასრულების შემდეგ, ძმების განცხადებამ უფრო მწვავე ხასიათი მიიღო. მათ უარი თქვეს ჰოლანდიის ჩემპიონის სახელით თამაშზე და ვარჯიშზეც კი.

ეს ერთგვარი გაფიცვა სექტემბრის ბოლოს დასრულდა — „აიაქსის“ ხელმძღვანელობა და დე ბურები შეთანხმდნენ, რომ სეზონის ბოლომდე ფეხბურთელები ამსტერდამულ კლუბში ითამაშებდნენ. თავის მხრივ, გუნდის უფროსობამ განაცხადა — თქვენს „ბარსელონაში“ ტრანსფერზე განუწყვეტლივ ვიმუშავებთო. ნახალწევს კი ტყუპები კვლავ აბოზოქრდნენ, რამაც საბოლოოდ მათთვის სასურველი შედეგი გამოიღო — გარიგება შედგა.

მაშ ასე, „ბარსელონას“ სოლიდურ ჰოლანდიურ ლეგიონს კიდევ ორი ჰოლანდიელი შეემატა. ამიერიდან დე ბურებს მათი ყოფილი თავკაცი ლუის ვან გაალი განერთნის. 1995 წელს მათ ერთად გაიხარეს, როდესაც „აიაქსმა“ ჩემპიონთა თასი დაისაკუთრა.

გარდა ამ სამისა, „ბარსელონაში“ შემდეგი ჰოლანდიელი ირიცხებიან: რუდუ ჰესპი, ვინსტონ ბოგრადი, მიხაელ რაიციგერი, ფილიპ კოკუ, ბუდევიზ ზენდენი, პატრიკ კლუივერტი. ამასთანავე ვან გაალის რამდენიმე თანაშემწე, მათ შორის ნარსულში სახელგანთქმული მცველი, ყოფილი ბარსელონელი რონალდ კუმანი.

ასე რომ, გაუმარჯოს ჰოლანდიის „ბარსელონას“!



რონალდ და ფრენკ დე ბურები ბარსელონისკენ მიდიან

**საჭიროობთ**  
**კითხვა-პასუხი**

— მოდი, ისევ ჩემპიონთა ლიგაზე ვილაპარაკოთ.  
— რა ვილაპარაკოთ? ხომ გავარკვეით ყველაფერი. თასის მფლობელი ხომ ცნობილია?  
— მერე რა, წინ საინტერესო ბრძოლებია.  
— მაგალითად?  
— მაგალითად „ინტერი“ და „მანჩესტერი“.  
— ამასაც მოუძებნია. ეგ რა საინტერესოა?  
— ემ, მე რომ უწინაისტი ვიყო...  
— რად ვინდა?  
— მეგ თამაშის სათაური მოვიფიქრე.  
— აბა?  
— „სწრაფი და მკვდარი“.  
— ეგ ის არი შერონ სტოუნი რო ისვრის?  
— ჰო.  
— და ჯინ ჰეკმენი რო ბოროტია?  
— ჰო.  
— მე არ მჯერა ეგეთი კინოების. სად გაგონილა ჯინ ჰეკმენი უწესო კაცი იყოს და შერონ სტოუნი მაგალითის იძლეოდეს?  
— ეგ რა შუაშია, მე ფეხბურთის დავარქვი, შენ კინოზე ლაპარაკობ.  
— ესე იგი, ფეხბურთს...  
— ღიან.  
— და „ინტერი“ ჯინ ჰეკმენია, ანუ მკვდარი და შერონ სტოუნი ლამაზი, გემრიელი და სწრაფი, არა?  
— დაახლოებით ასე.  
— უსამართლო მიდგომაა, რა დავიშვა „ინტერმა“?  
— „ინტერმა“ ყველას დაუშავა, უპირველესად კი საყუთარ თავს.  
— მაინც არ მოწონს ეგ სათაური.  
— სხვა სათაურიც მაქვს.  
— აბა, ჩამოყავ?  
— მულტიფილმი ხომ გინახავს? „ურჩხული და მზეთუნახავი“  
— ესე იგი, „ინტერი“ ურჩხულად გამოგყავს.  
— არა ბიჭო, სიმონეს გამოვიყვან მზეთუნახავად, ემაგ პირმაგს.  
— ჰმ...  
— რა, ჰმ?  
— მაშ ბექემი ყოფილა მზეთუნახავი, არა?  
— სიმონესთან შედარებით...  
— არ გამოდგება ეგ სათაური...  
— რატომ?  
— ენდი კოულს რას უშვრები?  
— საერთოდ არ დავაყენებ სასტავში.  
— ეგ პასუხი არ არის, რამე სხვა სათაური მოვიგონე.  
— სხვა ვერ მოვიგონე და ეს ორიც იმიტომ გითხარია.  
— არ ვარგა. „ინტერი“ „მანჩესტერს“ გაანგრევს და ეგ სათაურები განზე დაგვიჩება.  
— რატომ გაანგრევს? გიგზი იქ არა გყავს?  
— გიგზი რომელია, ქართველს რომ ჰყავს?  
— სულ არ ჰყავს ქართველს უელსელია.  
— შეიძლება არა ჰყავდეს, მაგრამ სულთ ნაძვლი ქართველია.  
— რატომ?  
— წელიწადში ერთ თვეს თამაშობს და აბა სხვა რომელია ვერე?  
— ტრავმები აქვს.  
— მეც მანდა ვარ. ქართველია-მეთქი. ტრავმა მარტო სხვისი ბრა-ლია, თუ შენიც?  
— სისულელეა.  
— სისულელე ის არის, რომ იმედი შეგრჩენია და რაღაც სათაურებს იგონებ.  
— და გაზა?  
— გაზა რაღა შუაშია?  
— გაზა რომ ფეხზე იდგეს, ხმას ამოიღებდით?  
— ეგ რა ჩემი ბრალია?  
— თქვენი ბრალია, ბივის კრუშა რო არ გამოაცალეთ.  
— მე არ გამოაცალეთ?  
— გიხაროდით, თან სვამს, თან თამაშობსო.  
— ეგ „ინტერთან“ რა შუაშია?  
— ფეხზე იყოს, ვერ დაილაპარაკებდით.  
— ეგრე, ჩერჩილის ძველიც ღვას, მაგრამ ვის რაღა აჯობა?





სარგბიელი სპორტული ლაბარია "CROCO"

თუ ვინმეს ამქვეყნად უფლება აქვს დღევანდელ თავდასხმელებს კარში დარტყმის ხელოვნება დაუწუნოს, გერდ მიულერი გახლავთ.

ის ყველა დროის საუკეთესო მეგობარა? ამ მოსაზრებას თითქმის ყველა ეთანხმება. მან, რისი მოგებაც შეიძლებოდა, ყველაფერი მოიგო.

კალიან კლიერი პიროვნება

დიდება, მკაცრებამ და ფორტ ლუდვალდში გახსნილმა საკუთარმა ბარმა (ის ამერიკაში ამთავრებდა საფეხბურთო კარიერას, როდესაც ბარი გახსნა) მიულერი თანდათან გაალოთა.

„ვერ ვხვდებოდი, უბრალოდ არ ვიცოდი“ — ხელები გაშალა „დერ ბომბერმა“ და „ბაიერის“ საწვრთნელი ცენტრის მოედანზე შეაბიჯა.

„მერე მათ გადამარჩინეს“ — მიულერი აჯერ უკვე 10 წელიწადია ბავარიულ ბის 21 წლამდელთა გუნდს ავარჯიშებს.

„ისინი“, ვინც მიულერი გადარჩინა, ძველი მეგობრები და თანავადლელები, ული ჰიონესი და ფრანც ბეკენბაუერი არიან. „ბაიერის“ გენერალური მენეჯერი და პრეზიდენტი დღევანდელი გერმანული ფეხბურთის სული და გული გახლავან, მით უფრო, რომ ბეკენბაუერი ქვეყნის საფეხბურთო კავშირის ვიცე-პრეზიდენტადც არჩეულა.

ბევრი ამბობს, ვიცე-პრეზიდენტობა ბეკენბაუერის ცხოვრების ყველაზე სწორი ნაბიჯია, რადგან მის შემთხვევაში ბრწყინვალე ტრიუმფი მოაყვას, მაგრამ ამ აზრს არ იზიარებს „ბაიერის“ თანამშრომელთა უმეტესობა.

ისინი ამბობენ, რომ კაიზერ ფრანცის ყველაზე გონივრული და ბრწყინვალე საქციელი 53 წლის მიულერის ხსენებად.

მიულერი მიუნხენს უმუშევარი და გალოთებული დაუბრუნდა. კიდევ კარგი დეპრესიის ნატამალიც არ შეპაროდა სულში და შეძლო სარკეში საკუთარი თავისთვის თვალი გაესწორებინა.

შემდეგ გამოჩნდა ჰიონესი, რომელმაც მეგობარი ქალაქის სამხრეთით მდებარე კლინიკაში მოათავსა, მკურნალობის ფული გადაუხადა, შეძლებისდაგვარად მხარში ამოუდგა და გააფრთხილა, რომ მისთვის საინტერესო სამუშაო აქვს შეგულებული.

ჰიონესი იგონებს, რომ წვეროსან მიულერს სათვალე ნახევრად აკადემიურ იერს სძენდა. ის არ ჰგავდა ყოფილ ბომბარდირს და ეშინოდა, რომ კლინიკიდან გასვლის მერე ღვინისა და ვისკის ბოთლების დანახვა ისევ დააბრუნებდა იმ ცხოვრებაში, რომელმაც შეუღლებს თან, ულისთან გაყარა და ქალიშვილთან უაღრესად დაუმაბა ურთიერთობა.

„მას მერე როდესაც სასაიდლოში შევიდით, სულ გამოიშვა საჭმელსა და სასმელში რაიმე ალკოჰოლური ხომ არ ურევია. ერთი წვეთის გასინჯვაც არ მინდა. უღიმ მიშველა, ოჯახიც გვერდში ამომიდგა. მარტო ვერაფერს გავხდებოდი. კიდევ კარგი ული გამოჩნდა“.



გერდ მიულერი

ინვალისის ჩამპიონატი. პრაიმერლიგა. XXII ტური

Table with 3 columns: Team, Goals, Points. Includes teams like Heilbronn, Würzburg, etc.

ინვალისის ჩამპიონატი. I დივიზიონი. 60. XXVIII ტური

Table with 3 columns: Team, Goals, Points. Includes teams like Barmenia, Bismarck, etc.

Table with 3 columns: Team, Goals, Points. Includes teams like Barmenia, Bismarck, etc.

საზრავაბეთის ჩამპიონატი. XXI ტური

Table with 3 columns: Team, Goals, Points. Includes teams like Nante, Lams, etc.

იტალიის ჩამპიონატი. სერია A. XVII ტური

Table with 3 columns: Team, Goals, Points. Includes teams like Bari, Fiorentina, etc.

იტალიის ჩამპიონატი. სერია B. XVIII ტური

Table with 3 columns: Team, Goals, Points. Includes teams like Atalanta, Livorno, etc.

ესპანეთის ჩამპიონატი. I დივიზიონი. XVIII ტური

Table with 3 columns: Team, Goals, Points. Includes teams like Sevilla, Alaves, etc.

ესპანეთის ჩამპიონატი. II დივიზიონი. 60. XX ტური

Table with 3 columns: Team, Goals, Points. Includes teams like Rayo, Logroñés, etc.

კორტუგალიის ჩამპიონატი. XVIII ტური

Table with 3 columns: Team, Goals, Points. Includes teams like Académica, Amadora, etc.

ბელგიის ჩამპიონატი. XX ტური

Table with 3 columns: Team, Goals, Points. Includes teams like Genk, Gent, etc.

იტალიის ჩამპიონატი. სერია B. XVIII ტური

Table with 3 columns: Team, Goals, Points. Includes teams like Bari, Fiorentina, etc.

იტალიის ჩამპიონატი. სერია B. XVIII ტური

Table with 3 columns: Team, Goals, Points. Includes teams like Atalanta, Livorno, etc.

კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დაახუსტეთ





კაცების ბადე

AUSTRALIAN OPEN '99

ქალების ბადე



პეტერ კორდა



მარტინა ჰინგისი

ორშაბათს მწვანე კონტინენტზე, მელბურნში, სეზონის ოთხი ბობო-ლა ტურნირიდან პირველი — ავსტრალიის ღია პირველობა იწყება. ჩოგბურთის ისტორიაში ადგილის დამკვიდრების მსურველთ სამხრეთული ზაფხულის გაუსაძლის ხვატში 7 მძიმე მატჩის გამართვა მოუხდებო-ბათ, კომპენსაციის სახით კი გამარჯვებულები ორი კვირის თავზე თი-თოეულისათვის საოცნებო მთავარ ჯილდოსა და მწვანეების გვარიან რაოდენობას მიიღებენ.

ჰინ გაილაღებს ოზაბში

რომელმაც გასული სეზონის ბოლოს ბევრი თამაშით გასაგათება მოიმეხეზა. არ ულხინს შარშანდელ ჩემპიონ პეტერ კორდასაც. შარშან ავსტრალიაში გამარჯ-ვებით იგი ერთბაშად მსოფლიოს მეორე ჩო-განი შეიქნა, მაგრამ უიმბლდონზე ღია პირველის ტესტზე ჩავარდნის შემდეგ მარცხს მარცხი მოაყოლა და ამჟამად კლასიფიკაციაში მხო-ლოდ 21-ე გასვლით. რაც იმას ნიშნავს, რომ ტურნირის ისტორი-აში პირველად, წინა გამარჯვებუ-ლი განთავსდეს კი არ იქნება.

სეზონის დასაწყისში იმის გა-გება, თუ ვინ როგორ ფორმაშია, ყველაზე მნიშვნელოვანია, მაგრამ წლე-ულს რომ აქ გამარჯვების შანსი ღამის ორ ათეული ჩოგბურთელს მაინც ექნება, ამისი თქმა ახლაც შეუძლებელია.

საქმე ის არის, რომ სამპრასის არყოფნაში ჩემპიონობის უპირვე-ლეს ფავორიტებს — მარსელო რიოსსა და პატრიკ რაფტერს ამჟამად ცუდი დრო უდგათ. ჩილეულს მოურჩენელი ფენის ტრავმა აწუ-ხებს, ავსტრალიელს კი სათამაშო პრაქტი-კის უქონლობა და თანამემამულეთა იმედე-ბის გამართლების ვალდებულება.

ზემოთქმულის გათვალისწინებით, პრეტენ-დენტთა საც მნიშვნელოვნად გაიზარდა. მთ რიგებს პირველ რიგში მსოფლიოს ყოფილი ჩოგანი ანდრე აგასი, ესპანელები — ალექს კორეხტა და კარლოს მოია, უიმბლდონის ექსპერტიზით რიჩარდ კრაიჩეკი და, ალბათ, ბოლო ხანებში შესანიშნავად მოთამაშე ამე-რიკელი ტონი პრეტინი უნდა მივაკუთვნოთ. თუმცა მომავალი ტრიუმფატორი ჩამოთვ-ლილთა შორისაც რომ არ აღმოჩნდეს, დიდი მოულოდნელობა არც ეს იქნება.


ბოლო 10 წლის ქალი ჩემპიონები 1989 — შტეფი გრაფი (გერმანია) 1990 — გრაფი 1991 — მონიკა სელეში (აშშ) 1992 — სელეში 1993 — სელეში 1994 — გრაფი 1995 — მარია პირსი (საფრანგეთი) 1996 — სელეში 1997 — მარტინა ჰინგისი (საფრანგეთი) 1998 — ჰინგისი

კაცების მსგავსად, მელბურნში წარმატე-ბულმა ასპარეზობამ შეიძლება ქალებს შო-რისაც გამოიწვიოს ცვლილება კლასიფიკა-ციის სათავეში. ოღონდ აქ პირველობის შა-ნსი მხოლოდ ორს — ლინდსი დევენპორტსა და მარტინა ჰინგისს აქვთ.

18 წლის შვეიცარიელს არასოდეს დაუმა-ლავს, რომ მსოფლიოს მეორე ჩოგნობას ვე-რაფრით ეგუება და დევენპორტისგან თავი-სი ჩვეული ადგილის დაბრუნებაზე ოცნე-ბობს, მაგრამ მელბურნში ჰეთ-ორიკის შეს-რულება მისთვის წინა წლებთან შედარებით გაცილებით რთული იქნება — ქალთა ჩოგ-ბურთში ხომ კონკურენცია ღამის თვიდან თვემდე იზრდება.

მარტინას მთავარ მეტოქეებად ამჯერად მნიშვნელოვნად გამხდარი და გაუმჯობესე-ბული დევენპორტი, მრავალთვიანი პაუზის შემდეგ ჩოგბურთს ტრიუმფალურად დაბრუ-ნებული შტეფი გრაფი, ავსტრალიაში ჯე-რაც დაუმარცხებელი, ოთხჯერ ჩემპიონი მონიკა სელეში უნდა მივიჩნიოთ. თუმცა არც უფროსი უილიამსი, უიმბლდონის ჩემპიონი იანა ნოვოტნა და 1995 წლის გამარჯვებული მარია პირსის ჩამოწერა იქნება.

ამთხანდელ სვანობი



რომელმაც გასული სეზონის ბოლოს ბევრი თამაშით გასაგათება მოიმეხეზა. არ ულხინს შარშანდელ ჩემპიონ პეტერ კორდასაც. შარშან ავსტრალიაში გამარჯ-ვებით იგი ერთბაშად მსოფლიოს მეორე ჩო-განი შეიქნა, მაგრამ უიმბლდონზე ღია პირველის ტესტზე ჩავარდნის შემდეგ მარცხს მარცხი მოაყოლა და ამჟამად კლასიფიკაციაში მხო-ლოდ 21-ე გასვლით. რაც იმას ნიშნავს, რომ ტურნირის ისტორი-აში პირველად, წინა გამარჯვებუ-ლი განთავსდეს კი არ იქნება.

სეზონის დასაწყისში იმის გა-გება, თუ ვინ როგორ ფორმაშია, ყველაზე მნიშვნელოვანია, მაგრამ წლე-ულს რომ აქ გამარჯვების შანსი ღამის ორ ათეული ჩოგბურთელს მაინც ექნება, ამისი თქმა ახლაც შეუძლებელია.



საქმე ის არის, რომ სამპრასის არყოფნაში ჩემპიონობის უპირვე-ლეს ფავორიტებს — მარსელო რიოსსა და პატრიკ რაფტერს ამჟამად ცუდი დრო უდგათ. ჩილეულს მოურჩენელი ფენის ტრავმა აწუ-ხებს, ავსტრალიელს კი სათამაშო პრაქტი-კის უქონლობა და თანამემამულეთა იმედე-ბის გამართლების ვალდებულება.

ზემოთქმულის გათვალისწინებით, პრეტენ-დენტთა საც მნიშვნელოვნად გაიზარდა. მთ რიგებს პირველ რიგში მსოფლიოს ყოფილი ჩოგანი ანდრე აგასი, ესპანელები — ალექს კორეხტა და კარლოს მოია, უიმბლდონის ექსპერტიზით რიჩარდ კრაიჩეკი და, ალბათ, ბოლო ხანებში შესანიშნავად მოთამაშე ამე-რიკელი ტონი პრეტინი უნდა მივაკუთვნოთ. თუმცა მომავალი ტრიუმფატორი ჩამოთვ-ლილთა შორისაც რომ არ აღმოჩნდეს, დიდი მოულოდნელობა არც ეს იქნება.

ბოლო 10 წლის ქალი ჩემპიონები 1989 — შტეფი გრაფი (გერმანია) 1990 — გრაფი 1991 — მონიკა სელეში (აშშ) 1992 — სელეში 1993 — სელეში 1994 — გრაფი 1995 — მარია პირსი (საფრანგეთი) 1996 — სელეში 1997 — მარტინა ჰინგისი (საფრანგეთი) 1998 — ჰინგისი




ჩემპიონატის დღეებში „მელბურნარში“ ნემსიც არ ჩავარდება







გაჭიანურებული ლოკაუტის შემდეგ კალათბურთის დანატრებული NBA-ელი პროფესიონალები ახალი სეზონის დაწყებამდე წათამაშების არცერთ შესაძლებლობას არ უშვებენ ხელიდან. აი, მაგალითად, ინდიანა „პეისერზის“ სუპერვარსკვლავმა რეჯი მილერმა დრიბლინგში ვარჯიშისას სპარინგად თანაგუნდელ მარკ ჯექსონის ვაჟი, უმცროსი ჯექსონიც კი არ დაიწუნა.



სურათზე აღბეჭდილი „ბრაუნინგერის“ კლონინგი მდებარე თლიმპიური მუზეუმის კუთვნილებაა. თუმცა მსოფლიოს მასშედიის ყურადღება ამ იარაღებს მართო ამ მიზეზით არ მიუყრიათ. საქმე ის არის, რომ თავის დროზე ისინი სოკის პრეზიდენტ ხუან ანტონიო სამარანჩისათვის სოლტ ლეივ სიტყვებს უჩუქებიათ, სწორედ იმით, თლიმპიური კომიტეტის წევრებისთვის 2002 წლის ზამთრის თამაშების მასპინძლობისთვის ქრთამების მიცამაში რომ არიან ბრალდებულნი.

გაბრიელ ბატისტუტა, რომელიც ფეხბურთის ანტონიო ბანდერასადაა აღიარებული, მეუღლე ირინასთან ერთად მისულა კუტურიე რობერტო კაგალის მოდელუების შოუზე. შოუ გვარიან სიცივეში გაიმართა ღია ცის ქვეშ. ბატივოლის იქ დასწრება კი შობდა ლოზუნგს — „ფლორენცია შემოქმედებისა და ბურთაობის ქალაქი“.




## ალი ტაისონს ქომაგობს



ამ დღეებში ღას ვეგასს ეწვია პარკინსონით ტანჯული ლეგენდა მუჰამედ ალი. ალი ტაისონ-ბოთას შებრძოლების საცქერადაა ჩასული და გამარჯვებას მაიკს უსურვებს. არცაა გასაკვირი — ალი იმ თრი კაცადან ერთ-ერთია, ნეგადის ათლეტთა კომისიის წინაშე თავდებში რომ დაუდგა ლიცენზიის დასაბრუნებლად მებრძოლ მაიკ ტაისონს

ასეთია ბრასი! წყლის საბურველიდან თავს იხსნის ავსტრალიელი მეტიუ დანი, მსოფლიოს თასის მორიგი ეტაპის ერთ-ერთი გამარჯვებული. მეტიუმ მშობლიურ სიდნეიში 400 მეტრზე იმარჯვა.



### სარბიელი

საორტული გაზეთი  
გამოიცვამა 1990 წლის  
28 დეკემბრიდან  
გამოდის სამზაბათს,  
ოთხშაბათს, ხუთშაბათს,  
პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ჯორჯაძე  
დირექტორი გიორგი მარტოშვილი  
რედაქტორი თამაზ მიხრიალი  
მთავარი რედაქტორის მოადგილე ილია ბაბუნაშვილი  
ავთანდილ გურასაშვილი  
ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი ვახტანგ ბუჩქაძე  
ტექნიკური რედაქტორი გურამ ხალაშვილი  
კალათბურთის განყოფილების გამგე მერაბ რატიშვილი  
ინფორმაციის განყოფილების გამგე სოსო ქიტორაძე  
ფეხბურთის რედაქცია: ქართული ფეხბურთის განყოფილება  
კონსტანტინე გოგიშვილი, სოლომონ გულიაშვილი, გიორგი  
ვაშაქიძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტა-

ლიანი, ზვირა სანიკიძე  
ფეხბურთის განყოფილება ლაშა  
გოდუაძე, დავით კოვზირიძე, ვანო ოქროპირიძე, ონისე შინჯიკაშვილი  
ბიკაშვილი, გაიოზ თალაკვაძე  
ინფორმაციის განყოფილება  
ირაკლი თავაძე, პაატა თოთაძე, ავთანდილ სვანიძე, კორნელი  
ნდინტი ქუთაისში თუზა კაციტაძე  
ფოტორეპორტიორები გურამ  
ლოღუნჯაშვილი, ბადრი კეთილაძე  
სტილისტები მაია აზიანიძე,  
ნათელა გიორგობიანი  
კომპიუტერული ცენტრი ელენე გელუტა-  
შვილი, ნინო დევაძე, სვეტა დევაძე, კახა თალაკვაძე, ტრისტან  
კახურაშვილი, ნინო კედელაშვილი, დავით ნადირაშვილი, მა-  
რიკა ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, თამარ შიოლაშვილი, გიორგი  
ხარატიშვილი, ბელა ხატიაშვილი  
გამომშვები ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი:  
თბილისი,  
ალექსანდრე ყაზბაგის  
ბაგზირი 42, II კორპუსი,  
IV სართული.  
საზოოსტო მისამართი:  
თბილისი — 79,  
საზოოსტო ყუთი 208.  
ტელეფონი: 39 48 29